ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწის - პაატა კოღუაშვილის ხსოვნა

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი **პაატა კოღუაშვილი.**

პაატა კოღუაშვილი გამოირჩეოდა ენციკლოპედიური ცოდნით, ერუდიციით, აკადემიზმით და მაღალი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტიურობით. იგი იყო 70-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე-მომხსენებელი, 11 მონოგრაფიის, 6 სახელმძღვანელოსა და 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი აგროეკონომიკურ, სასურსათო უშიშროების, პრივატიზაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე. იყო არაერთი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

დიდია ბატონ პაატას როლი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებაში. მრავალი წლის მანძილზე იგი მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო

თანამდებობაზე. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მას, როგორც საქართველოს პარლამენტის მე-3 მოწვევის წევრს, 1995 წ. აგვისტოში ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უაღრესად რთულ და ტრაგიზმით აღსავსე პირველ წლებში (1992-1995 წწ.) ის იყო საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე აგრარულ საკითხებში.

თავისი აქტიური სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის პაატა კოღუაშვილი დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“, იყო აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, მხურვალე მამულიშვილის პაატა კოღუაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და ყველა ნაცნობის გულში.

ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქცია,
სარედაქციო კოლეგია.